მასწავლებლის სახელი, გვარი	გიტა თვალაბეიშვილი
სკოლის დასახელება	სსიპ ქალაქ თბილისის N168 საჯარო სკოლა
კლასი	III კლასი
საგანი/ები	ქართული ენა და ლიტერატურა სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება ბუნებისმეტყველება.

დასახელება

ანიმაცია ჩრდილების თეატრის გამოყენებით - ნაირა გელაშვილის **„წინწკლებიანი მუსტანგის“** მიხედვით

საგნობრივი მიზნები

მოსწავლემ შეძლოს ტექსტის წაკითხვა-გაცნობა, სათანადო სამეტყველო ქცევის გამოვლენა (ინტონაციით, ჟესტ-მიმიკით და ა.შ). მცირე ზომის მხატვრული ტექსტების ინტერპრეტირება ვერბალური და არავერბალური გზით. ვერბალური ინფორმაციის ვიზუალურად გარდაქმნა. ასევე დააკვირდეს და აღწეროს ჩრდილის წარმოქმნის მიზეზები და დააკავშიროს ის სინათლის სწორხაზოვან გავრცელებასთან, ზომა და ფორმა კი - სხეულსა და სინათლის წყაროს მანძილთან. მოიძიოს და მსგავსად შექმნას ან საკუთარი ინტერპრეტაციით წარმოადგინოს პიესის მიხედვით თეატრისთვის საჭირო პერსონაჟთა კონტურული გამოსახულებები. შექმნას მედიარესურსი.

მედიაწიგნიერების მიზნები

- სიტყვების ძალის გაცნობიერება, მედიაპროდუქტში გამოყენებული ვიზუალური ხატების აუდიტორიაზე ზეგავლენის შეფასება;
- მედიაში გამოყენებული ამბის მოყოლის სხვადასხვა ტექნიკის ანალიზი;
- სხვადასხვა მედიაფორმის ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირება.

გაკვეთილის მიზნები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით (ესგ) განსაზღვრულ მოთხოვნებს, კერძოდ:

ქართ. დაწყ. (III).1. *მოსწავლემ უნდა შეძლოს სათანადო სამეტყველო ქცევის გამოვლენა ნაცნობ საკომუნიკაციო სიტუაციაში.*

ქართ.დაწყ..(III).7. *მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების წაკითხვა და გაგება-გააზრება; ტექსტში ვერბალური და არავერბალური ფორმით მოწოდებული ინფორმაციის (მაგ., ილუსტრაციისა და ტექსტის) ურთიერთადაკავშირება.*

ქართ.დაწყ.(III).8. *მოსწავლემ უნდა შეძლოს მცირე ზომის მხატვრული ტექსტების ინტერპრეტირება ვერბალური და არავერბალური გზით; ვერბალური ინფორმაციის ვიზუალურად გარდაქმნა და/ან პირიქით.*

ბუნ.III.4. *მოსწავლემ უნდა შეძლოს სითბოსა და სინათლის გავრცელების მარტივი კანონზომიერებების აღწერა.*

ს.გ.III.1. *მოსწავლემ უნდა შეძლოს საკუთარი ჩანაფიქრის, გუნება-განწყობის (ემოციების) ან გარემოზე დაკვირვების შედეგად მიღებული შთაბეჭდილებების ასახვა ნამუშევარში სახვითი ხელოვნების ელემენტებისა და პრინციპების გამოყენებით.*

ს.გ.III.2. *მოსწავლემ უნდა შეძლოს სხვადასხვა მასალისა და ტექნიკის გამოყენების უნარის განვითარება და გაღრმავება*

ს.გ.III.4. *მოსწავლემ უნდა შეძლოს ინდივიდუალური და ერთობლივი ნამუშევრის წარდგენა*

ს.გ.III.5. *მოსწავლემ უნდა შეძლოს სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგების, ზოგიერთი ჟანრის განსხვავება ერთმანეთისგან, მათი დაკავშირება ყოველდღიურ ცხოვრებასთან და სხვა საგნებში განვლილ მასალასთან.*

შერჩეული თემის მიზნობრიობის დასაბუთება:

ჩრდილების თეატრის ხილვით არ არიან განებივრებული ქართველი ბავშვები, რასაც რიგი ხელისშემშლელი ფაქტორები განაპირობებს:

- თეატრის გრაფიკი, დრო, მდებარეობა;
- ფინანსები;
- ნაკლები პოპულარობა და ა.შ.

ჩრდილების თეატრის გამოყენებით შექმნილი საგანმანათლებლო დანიშნულების ანიმაციები თითქმის არ მოიპოვება. რადგან სიახლეა, ვფიქრობ, საინტერესო იქნება პედაგოგიური საზოგადოებისთვის.

ასეთი რესურსების შექმნა რთული არ არის, არ სჭირდება დიდ რესურსი.

წარმოდგენილი მეთოდური მასალა თემატურად პირდაპირ კავშირშია მესამე კლასის სამივე საგანთან (ქართული ენა და ლიტერატურა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, ბუნებისმეტყველება).

გთავაზობთ სწავლების დროს გამოყენებული სახელმძღვანელოების ნუსხას:

1. *იაშვილი ი. მხეიძე ნ. აბესაძე მ., ქართული ენა და ლიტერატურა, მოსწავლის წიგნი, მე-3 კლასი, „ტრიასი“, თბილისი, 2018, გვ. 44-46;*
2. *ბლიაძე მ. ახვლედიანი რ., ბუნება, მოსწავლის წიგნი, მე-3 კლასი, II ნაწილი, „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“, თბილისი 2018, გვ.10-11, 22-23 ;*
3. *ბლიაძე მ. ახვლედიანი რ., ბუნება, მასწავლებლის წიგნი, მე-3 კლასი, „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“, თბილისი 2018, გვ.118-120; 125-126;*
4. *კახიანი ჯ. გორგაძე ლ. კიკნაძე თ. ჩუბინიშვილი მ., სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მოსწავლის სახელმძღვანელო, მე-3 კლასი, "პალიტრა L", თბილისი 2018, გვ. 94-95*

გთავაზობთ პროექტის გეგმას, რომელშიც აღწერილია დაწყებით საფეხურზე ჩრდილების თეატრის გამოყენებით სწავლება. პროექტი რამდენიმე ნაბიჯს მოიცავს.

ნაბიჯი 1

პროექტის მონახაზისა და თემატიკის გაცნობა, მიზნების განსაზღვრა, დაგეგმვა;

ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილი

- ტექსტის გაცნობა და დამუშავება;
- პერსონაჟების გამოკვეთა ***(მუსტანგი, ლოკოკინა, კუნელის ბუჩქი, ნიავი, მზე, თხუნელა, ფურისულა, მინდვრის თაგვი, ნარეკალა);***
- ტექსტის პიესად გადაქცევა **(დანართი 1);**

ამ ეტაპზე მასწავლებელი მოსწავლეებთან მუშაობს ტექსტის გაგება-გააზრებაზე. ტექსტსზე მუშაობისას მოსწავლეები წიგნში მიაწერენ პერსონაჟების სახელებს. გაკვეთილის ერთ-ერთი აქტივობა იქნება როლებში კითხვა. ამგვარად მოთხრობას მოსწავლეები პიესად აქცევენ.

ნაბიჯი 2

ბუნებისმეტყველების გაკვეთილი

- წინარე ცოდნის გააქტიურება: რა არის ჩრდილი? კითხვა - პასუხი;
- პრაქტიკული მაგალითები სხვადასხვა საგანზე დაკვირვებით;
- საგნის, სინათლის სხივისა და ჩრდილის ურთიერთდამოკიდებულების განსაზღვრა (ზომა, ფორმა, მანძილი).

რესურსი:

ბუნების სახელმძღვანელო, ბუკი, სინათლის წყარო (თუნდაც მკვეთრი განათების ფანარი), სხვადასხვა ფორმისა და ზომის საგნები (ამ კონკრეტულ შემთხვევაში - ბურთი, წიგნი, ჩანგალი).

გაკვეთილის მიმდინარეობა:

წინარე ცოდნის გააქტიურება კითხვა-პასუხით (15 წთ):

- რა არის ჩრდილი?
- სად გინახავთ ჩრდილი?
- თქვენი აზრით, როგორ წარმოიქმნება იგი?
- რა არის მისი წარმოქმნისთვის აუცილებელი?

სავარაუდო პასუხები: შევეცადოთ, მოსწავლეები მივიყვანოთ ამ დასკვნამდე - ჩრდილი არის მუქი ლაქა, რომელიც წარმოიქმნება, თუ სინათლის გავრცელების სხივს რაიმე გაუმჭირვალი სხეული ჩამოეფარება.

-თქვენი აზრით, როგორ ვრცელდება სინათლე, სწორად თუ წრიულად?

სავარაუდო პასუხი: სწორად.

-დავაკვირდეთ: საკლასო ოთახი ჭერის ცენტრში დაკიდებულ განათებულ ნათურას. რა მიმართულებით ვრცელდება ნათურიდან სინათლე ოთახში ზემოთ, ქვემოთ, მარჯვნივ თუ მარცხნივ?

სავარაუდო პასუხი: იგი ოთახის ყველა ნაწილს ანათებს და ვრცელდება სწორად (სწორხაზოვნად).

– შეუძლია თუ არა სინათლის სხივს, რომ მის წინ მდგომ სხეულს, მაგ., დაფას შემოუაროს და მის უკანაც ისევე გაანათოს, როგორც წინ? რატომ?

სავარაუდო პასუხი: სინათლე სწორხაზოვნად ვრცელდება, ამიტომ მას არ შეუძლია შემოუაროს საგნებს.

– რა წარმოიქმნება გაუმჭირვალ სხეულთა უკან, როცა მათ სინათლე ანათებს?

სავარაუდო პასუხი: ჩრდილი.

2. ***პრაქტიკული სამუშაოს ჩატარება: ცდები და დაკვირვება (20-25 წთ)***

ბურთსა და წიგნს მივანათოთ ფანარი;

დავატრიალოთ ბურთი და დავაკვირდეთ. შეიმჩნევა თუ არა რაიმე განსხვავება უძრავი და მოძრავი ბურთის ჩრდილს შორის?



კითხვა: რატომ არ შეიცვალა ბურთის ჩრდილის ფორმა?

სავარაუდო პასუხი: ბურთი ყველა მხრიდან ერთნაირია, მრგვალია. ამიტომ მისი ჩრდილიც არ იცვლის ფორმას.

დავატრიალოთ წიგნი. ვთხოვოთ მოსწავლეებს აღწერონ ჩრდილების ზომა და ფორმა.

კითხვა: რატომ შეიცვალა წიგნის ჩრდილის ფორმა სხვადასხვა მხარეს შებრუნებისას?

სავარაუდო პასუხი: წიგნს სხვადასხვა მხრიდან სხვადასხვა ფორმის წახნაგი აქვს, როგორც მართკუთხა პარალელეპიპედს და ამიტომ ის იცვლის ფორმას

იგივე ცდა ჩავატაროთ **ჩანგალზე.** მივიღოთ ჩანგლის ჩრდილი. ჩანგალი სინათლის

წყაროსთან ჯერ შორს დავიჭიროთ, შემდეგ ახლოს და დავაკვირდეთ ჩრდილის ზომის ცვლილებას.

აღმოჩნდება რომ სხეული, რაც უფრო შორსაა სინათლის წყაროდან უფრო პატარა და მკვეთრი გამოსახულების ჩრდილს წარმოქმნის , ხოლო მიახლოებისას უფრო დიდი ზომის ჩრდილს.

3.„ბუკის“ გამოყენებით მოსწავლეებს ვაჩვენოთ ელექტრონული რესურსი „სინათლე და ჩრდილი“ (3-5 წთ) *(დავით სონღულაშვილის მიერ შექმნილი შემეცნებითი თამაში ბუკის პროგრამისთვის „buneba 2-3, „სინათლე და ჩრდილი“),* რაც მოსწავლეებს

დაეხმარება საგნის, სინათლის სხივისა და ჩრდილის ურთიერთდამოკიდებულების უკეთ განსაზღვრაში (ზომა, ფორმა, მანძილი).

4. სავარჯიშოების შესრულება (დანართი 2) : სავარჯიშოს მიზანია, მოსწავლეებმა შეაჯამონ პრაქტიკული სამუშაოს დროს გაკეთებული დასკვნები, კერძოდ, უნდა გაიხსენონ, სხეულების ჩრდილების თავისებურებები.

სავარჯიშოების ტიპები:

1. გამოტოვებული სიტყვების ჩასმა;
2. მისადაგება: სხეულები უნდა დაუკავშირონ საკუთარ ჩრდილებს;

დავალების დასრულების შემდეგ მოსწავლეები მასწავლებელთან ერთად განიხილავენ სავარჯიშოებს.

სავარჯიშოების შესრულების შემდეგ, სასურველია, მოსწავლეებმა შეაფასონ საკუთარი ნამუშევარი. სარეკომენდაციოდ გთავაზობთ თვითშეფასების ცხრილს.

თვითშეფასების ცხრილი:

კრიტერიუმი	**შესანიშნავია!**	**კარგია!**	**გასაუჯობესებელია!**
სავარჯიშო 1	ხუთივე კითხვას სწორად გავეცი პასუხი	3-4 კითხვას სწორად გავეცი პასუხი	კითხვების უმეტესობას ვერ გავეცი სწორად პასუხი
სავარჯიშო 2	ზუსტად მოვძებნე სამივე სხეულის ჩრდილი	მოვძებნე მხოლოდ 2 სხეულის ჩრდილი	გამიჭირდა სხეულის ჩრდილების მოძებნა

ნაბიჯი 3.

მულტიმედია რესურსის დამუშავება

- მულტიმედია რესურსის გაცნობა და დამუშავება შესაბამისი კითხვებით;
- შეჯამება და დასკვნების გაკეთება;

რესურსი:

https://www.youtube.com/watch?v=D8EYmcIKXyA

https://www.facebook.com/133523376716853/photos/a.241564612579395/1248963248506188/?type=1&theater

გაკვეთილის მიმდინარეობა:

ვიდეორესურსის დეკოდირება, სხვადასხვა ტექნიკაზე ყურადღების გამახვილება

მასწავლებელი რთავს ვიდეოჩანაწერს https://www.youtube.com/watch?v=D8EYmcIKXyA (00:00-01:12) და მოსწავლეებს კითხვების მეშვეობით ეხმარება მედიარესურსის დეკოდირებაში. გთავაზობთ კითხვებსა და სავარაუდო პასუხებს:

კითხვა	**სავარაუდო პასუხი**
რას ხედავთ ვიდეოჩანაწერში?	სხვადასხვა ფიგურას, ცხოველებს, კურდღელს, დინოზავრს, ძაღლს და ა.შ.
როგორ გვაჩვენებენ სხვადასხვა ფიგურას ვიდეოში?	ხელებით, ხელის ჩრდილებით (მასწავლებელი ამ პასუხამდე მიიყვანს მოსწავლეებს)
ვიდეოს რომ მხოლოდ მოვუსმინოთ და არ ვუყუროთ, მივხვდებით, რომელ ცხოველს გვაჩვენებენ?	ზოგს მივხვდებით, რადგან ცხოველებს ახმოვანებენ - ძაღლი ყეფს, დინოზავრი ღრიალებს (შესაძლებელია, მასწავლებელმა გადასამოწმებლად გამოსახულების გარეშე ჩაურთოს ბავშვებს ვიდეოჩანაწერი).
ვიდეოჩანაწერი მხიარულია თუ სევდიანი? რატომ ფიქრობთ ასე?	ვიდეო მხიარულია, რადგან მხიარული მუსიკა ისმის.

მოსწავლეები დაიყოფიან წყვილებად და მასწავლებელი მათ დაურიგებს მე-3 დანართს. მასწავლებელი ბოლომდე აჩვენებს მოსწავლეებს ვიდეოჩანაწერს და შემდეგ ეკრანზე ხსნის ფოტოსა და ტექსტს ჩრდილების თეატრის სოციალური ქსელის გვერდიდან. მოსწავლეები წყვილებში ასრულებენ დანართში მოცემულ დავალებებს.

შენიშვნა: ამ ნაწილში მოცემულ შეკითხვებსა და მე-3 დანართის დავალებებს ცოდნის შემოწმების ფუნქცია არ აქვს. ეს არის მედიარესურსის ნაბიჯ-ნაბიჯ დამუშავება, ყურადღების გამახვილება მედიაპრიდუქტში გამოყენებულ სხვადასხვა ტექნიკაზე (ხმები, ჩრდილები, მუსიკა); ასევე - კითხვის სტრატეგიებზე მუშაობა, მაგ., კონკრეტული ინფორმაციის პოვნა, კონტექსტისა და ფოტოს საშუალებით უცნობი ლექსიკური ერთეულის მნიშვნელობის ამოცნობა. შესაბამისად, მასწავლებელი წაახალისებს მოსწავლეთა მსჯელობას, ერთმანეთთან ურთიერთობას; ყოველი დავალების შემდეგ შეაჯამებს მოსწავლეთა წყვილების პასუხებს.

მე-3 დანართის დავალებათა შესრულების შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს უსვამს შეკითხვებს:

წარმოიდგინეთ, რომ მუშაობთ ხელის ჩრდილების თეატრში.

- რას განასახიერებდით (რომელ ცხოველებს, ადამიანებს და ა.შ.)?
- რომელი მოთხრობის, ლექსის, ზღაპრის მიხედვით დადგამდით სპექტაკლს?

- „წინწკლებიანი მუსტანგის“ დადგმა რომ მოვინდომოთ, რა დაგვჭრდება?

სავარაუდო პასუხები:

- უნდა გავაკეთოთ ფიგურები
- უნდა შევარჩიოთ მუსიკა
- უნდა გავინაწილოთ როლები
- უნდა ვისწავლოთ, რას ამბობენ პერსონაჟები და ა.შ.

მასწავლებელი მოსწავლეებს შესთავაზებს, რომ ერთად მოამზადონ და დადგან ხელის ჩრდილების სპექტაკლი „წინწკლებიანი მუსტანგი“.

ნაბიჯი 4

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების გაკვეთილი

რესურსი:

ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი, მონიტორი, პრინტერი, თაბახისა და მუყაოს ფურცლები, მარკერი, ხის ჩხირები, წებოვანი ლენტი.

- ***გუგლის დახმარებით „წინწკლებიანი მუსტანგის“ პერსონაჟთა სურათების მოძიება;***

მოსწავლეები მასწავლების დახმარებით გუგლის სურათების საძიებო ველში ჩაწერენ იმ პერსონაჟის სახელს, რომლის გამოსახულების შექმნაც სურს (უფრო მარტივი მოსაძებნია, თუ სიტყვას translate.google.com-ის ან ინგლისური ენის პედაგოგის დახმარებით ინგლისურად ჩავწერთ (მაგ. ცხენი - “horse drawing, clip art, black and white”);

მოძიებული სურათების მიხედვით პერსონაჟთა გამოსახულებების შექმნა და თოჯინებად ქცევა;

მოსწავლეები შეეცდებიან მოძიებული სურათების მხოლოდ კონტურები გადაიხატონ წინასწარ გამზადებულ მუყაოზე, გამოჭრან და წებოვანი ლენტით დაამაგრონ ხის ჩხირებს. ნიმუშისთვის გთავაზობთ მოძიებულ სურათებს:

			
წინწკლებინი მუსტანგი	ლოკოკინა	ნარეკალა	თხუნელა
			
მზე	მინდვრის თაგვი	ფურისულა	კუნელის ბუჩქი

ნაბიჯი 5

რესურსი: მცირე ზომის ოთახი, საშუალო ზომის ჩარჩო, თეთრი ქსოვილი, სინათლის წყარო, ვიდეო-კამერა, პერსონაჟთა მარიონეტებად ქცეული კონტურული გამოსახულებები, მარკერები.

- ოთახის მოწყობა, სადაც შესაძლებელი იქნება თეატრის გამართვა/ჩაწერა;
- თეატრალური წარმოდგენის ვიდეოჩაწერა;

მინი -ლექცია მოსწავლეებთან წინარე ცოდნის გასააქტიურებლად:

ჩრდილებს წარმოქმნიან სხეულები, რომლებიც არ ატარებენ სინათლეს. შესაძლებელია, მივიღოთ თოჯინების ჩრდილი, თუ მათ სინათლის წყაროს წინ მოვათავსებთ. მათი ჩრდილი გამოჩნდება ეკრანზე და მაყურებლები ეკრანის მეორე მხრიდან დაინახავენ მათ.

მასწავლებლების მოსწავლეებს დააჯგუფებს მსახიობებად (რომლებიც კითხულობენ პიესას) და გამთამაშებლებად (რომლებიც ამოძრავებენ თოჯინებს).

ტექნიკური მხარე:

1. ეკრანის გასაფორმებლად ავიღოთ დიდი თეთრი ქსოვილი და ზედ შავი მარკერით დავხატოთ სცენარით განსაზღვრული ის დეკორაცია, რომელიც პიესაში არ მოძრაობს.
3. ორი სკამი დავდგათ მაგიდაზე და მათ შორის მოვათავსოთ გამზადებული ეკრანი ისე, რომ არ მოძრაობდეს.
4. დავამაგროთ ნათურა სახელდახელოდ შექმნილი ეკრანის უკან, 50-60 სმ-ის დაშორებით და დავარეგულირროთ სინათლის მიმართულება ისე, რომ სხივი ეკრანის ცენტრს ეცემოდეს;
5. ჩავაბნელოთ ოთახი და თოჯინები ავამოძრაოთ ეკრანიდან არაუმეტეს 5 სმ-ის დაშორებით.

მოსწავლეებთან შეჯამებისა და დასკვნის სახით აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ მაყურებლები ეკრანზე თოჯინების მუქი ფერის მკვეთრ გამოსახულებას - მათ ჩრდილს ხედავდნენ. ნათურამ გაანათა ეკრანის თეთრი მონაკვეთი, მაგრამ მუყაოს თოჯინებმა არ გაატარეს სინათლის სხივი და ეკრანზე მათი ფორმის ჩრდილები გამოისახა (სასურველია, ეს დასკვნა თავად მოსწავლეებმა გააკეთონ);

კითხვები მოსწავლეთათვის:

– რა იყო ეკრანზე ჩრდილის წარმოქმნის მიზეზი? (სასურველი პასუხი: გაუმჭირვალე სხეულები არ ატარებენ სინათლეს)

– რამ შეუწყო ხელი დღევანდელი წარმოდგენის გამართვას? სინათლე რომ სწორხაზოვნად არ ვრცელდებოდეს, შევძლებდით მსგავსი თეატრის წარმოდგენას? რატომ?

– რატომ ვამოძრავებდით თოჯინებს ეკრანიდან მხოლოდ 5 სმ-ის დაშორებით?

– რა მოხდებოდა თოჯინები 20-30 სმ-ით დაგვეშორებინა?

ამის დემონსტრირებისთვის ვაწარმოოთ დაკვირვება:

ერთ-ერთი თოჯინა ეკრანიდან ჯერ 5 სმ-ით დავაშოროთ, შემდეგ კი - 20-30 სმ-ით. ვთხოვოთ მოსწავლეებს ,გააკეთონ დასკვნები. (სასურველი დასკვნა: თოჯინის ჩრდილი ბევრად უფრო მკვეთრი და რეალურ ზომასთან დაახლოებული იყო ეკრანთან ახლოს). *რეკომენდაცია: გავაკეთოთ წარმოდგენის ვიდეო-ჩანაწერი ისე, რომ კამერის ეკრანზე მხოლოდ ჩრდილებისთვის სახელდახელოდ შექმნილი „ეკრანი“ ჩანდეს.*

ნაბიჯი 6

რესურსი: ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი, პროგრამა „Movie maker” ან ნებისმიერი ვიდეოფაილების დასამუშავებელი პროგრამა.

ჩანაწერის დამუშავება/მონტაჟი (1 დღე)

ვიზუალური და აკუსტიკური ეფექტებით გამდიდრების მიზნით, ვიდეო-ჩანაწერი დავამუშაოთ “movie maker”-ის პროგრამაში;

ნაბიჯი 7

რესურსი:

დიდი ზომის, თეთრი და ფერადი ფორმატები, კომპიუტერი, მონიტორი.

- აფიშის დამზადება საპრეზენტაციოდ;
- სკოლის ადმინისტრაციისა და მოსწავლეთა მოწვევა და შექმნილი რესურსის პრეზენტაცია სკოლის დიდ დარბაზში;
- რესურსის გამოქვეყნება სკოლის სოციალურ გვერდზე;
- წახალისების მიზნით მოსწავლეთა დაჯილდოება .